



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 206

ქალაქი ქუთაისი 28 ოქტომბერი 2015 წელი

არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიული  
პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა  
გაერთიანების“ № 17 კომპლექსური სასპორტო  
სკოლისათვის დავით ხახალეიშვილის სახელის  
მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივგების დროებითი საქალაქო კომისიის 2015 წლის 7 ივლისის სხდომის № 54 ოქმის საფუძველზე:

**მუხლი 1.** მიენიჭოს არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ №17 კომპლექსურ სასპორტო სკოლას, სპორტის დამსახურებული მოღვაწის, ქართველი ძიუდოსტის, ოლიმპიური ჩემპიონის, მსოფლიოსა და ევროპის მრავალჯერ პრიზიორის, ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხისა და ღირსების ორდენების კავალერის, დავით ხახალეიშვილის სახელი.

**მუხლი 2.** დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურღულიას ზემოაღნიშნული სკოლის სახელდებასთან დაკავშირებით, საჭირო ღონისძიებების გატარება.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა № 11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოადგილე

ნიკოლოზ ლატარია